ოქმი:**ო02. 3723023001**

თარიღი:**23/01/2023**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. თ. ტუღუში, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ვრცლად ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 28 მილიონ ლარზე მეტით, აქედან გასული წლის ბიუჯეტის ნაშთია 19 მილიონი ლარი, მათ შორის საკუთარი ნაშთია 7.5 მილიონ ლარზე მეტი, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა ეს ნაშთები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

გამოყენებულია კვალიფიციური